20.08.2026

ექსპორტის ფასების ინდექსი საქართველოში
2026 წლის ივლისი

ექსპორტის ფასების ინდექსი **წინა თვესთან** შედარებით 0.6 პროცენტით შემცირდა. აღნიშნულ პერიოდში ფასების 4.4 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე.

წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით ექსპორტის ფასების ინდექსი გაიზარდა 6.2 პროცენტით. სამთო-მოპოვებითი მრეწველობისა და კარიერების დამუშავების ჯგუფზე ფასები გაიზარდა 14.5 პროცენტით, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციაზე 4.9 პროცენტით, წყალმომარაგების, კანალიზაციის, ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით მომსახურების ჯგუფზე 23.4 პროცენტით, ხოლო ელექტროენერგიის, აირის, ორთქლისა და კონდიცირებული ჰაერის ჯგუფზე ფასები შემცირდა 36.2 პროცენტით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2026 წლის ივლისში ექსპორტის ფასების ინდექსები წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, ასევე ინდექსების ფორმირებაში მონაწილე ძირითადი ქვეჯგუფების შესაბამისი წვლილები:

კოდი	ჯგუფები და ქვეჯგუფები	2025 წლის ივლისთან	წვლილი* წლიური ინდექსის პროცენტულ ცვლილებაში
	სულ	**106.2**	**6.20**
B	**სამთო-მოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება**	**114.5**	**2.26**
C	**დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქცია**	**104.9**	**4.13**
20	ძირითადი ქიმიური ნივთიერებები და ქიმიური პროდუქტები	116.4	1.21
24	ძირითადი ლითონები	111.4	1.58
D	**ელექტროენერგია, აირი, ორთქლი და კონდიცირებული ჰაერი**	**63.8**	**-0.45**
E	**წყალმომარაგება, კანალიზაცია, მომსახურება ნარჩენების მართვით და რეკულტივირებით**	**123.4**	**0.25**

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების წვლილის ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინდექსის პროცენტული ცვლილების მთლიან მაჩვენებელს.

20.08.2026

ექსპორტის ფასების ინდექსი

(წინა წლის შესაბამისი თვე = 100)



საკონტაქტო პირი:

გიორგი თეთრაული, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (400). E-mail: gtetrauli@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ.: (+995 32) 236 72 10 (020). E-mail: mkavelashvili@geostat.ge